



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

ფრანგული ენა და ლიტერატურა

1. პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/ლაბ.	კრედიტი-რაოდენობა	სემესტრები						
					III	IV	V	VI	VI I	VIII	
1	ფრანგული ენა 1	6	0.6.0.0	10	10						
2	ფრანგული ენა 2	4	0.4.0.0	5		5					
3	ფრანგული ენა 3	4	0.4.0.0	5			5				
4	ფრანგული ენა 4	3	0.3.0.0	5				5			
5	ფრანგული ენა 5	3	0.3.0.0	5					5		
6	ფრანგული ენა 6	3	0.3.0.0	5						5	
7	ფრანგული ენის ლექსიკოლოგია	3	2.1.0.0	5							5
8	შუა სს. და აღორძინების ხანის ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	1.1.0.0	5		5					
9	XVII-XVIII სს. ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	11.0.0	5			5				
10	XIX ს. ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	1.1.0.0	5				5			
11	XX ს. ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	1.1.0.0	5					5		
სულ				60	10	10	10	10	10	10	10

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პრ./ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული.

2. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაცია

კურსის კოდი: HFB0410

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა 1** (10 კრედიტი).

ამ კურსის დამუშავებიდან დროს სტუდენტს უნდა გამოუმუშავდეს სწორი წარმოთქმისა და ინტონაციის უნარები, კითხვის, წერის, გამართული ზეპირი მეტყველების ჩვევები. საფუძველი უნდა ჩაეყაროს ენის შემსწავლელთათვის კითხვის, ზეპირი და წერიტი მეტყველების, ასევე დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

კურსი ასევე ითვალისწინებს ფრანგული ენის პრაქტიკული გრამატიკის საფუძვლების სწავლებას. მისი ამოცანაა სტუდენტები აღჭურვოს ფრანგული ენის სისტემის კანონზომიერებების ცოდნით და მათ გამოუმუშაოს გრამატიკულად სწორი მეტყველების (ზეპირი და წერიტი) მყარი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი ავტომატიზირება.

ენის სწავლების პროცესი ამ დონეზე იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს, ინოვაციურს. ეს პროცესი წარიმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის კოდი: HFB0420

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა 2** (5 კრედიტი).

აღნიშნული კურსის შესწავლისას გათვალისწინებულ უნდა იყოს ფრანგული ენა I-ის კურსის საფუძველზე მიღებული წინარე ცოდნა და იგი თემატურად და მეთოდოლოგიურად უნდა მიყვებოდეს მას. ფრანგული ენა II-ის კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ ადაპტირებული, ორიგინალური ტექსტის გაგება, ზეპირ ენაზე თანამედროვე საყოფაცხოვრებო თემაზე ელემენტარული საუბრის წარმართვა, წერისას კარნახის სწორად შესრულება და მართლწერის ახალი ნორმების კორექტულად გამოყენება, ფრანგული ენის პრაქტიკული გრამატიკიდან მორფოლოგიის მონაკვეთის საკითხების სრულყოფილად დამუშავება, კონკრეტულად ენის შემსწავლელთათვის გათვალისწინებული ფრანგული ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა და გაგება.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსი **ფრანგული ენა 1**

კურსის კოდი: HFB0430

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა 3** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: მოსმენა- სტუდენტს უნდა განუვითარდეს სმენითი აღქმის უნარ-ჩვევები, უნდა შეძლოს მოსმენილი ადაპტირებული ტექსტის ან დიალოგის გაგება. ფრანგული ენის ფუნქციები- ასპექტის მიზანია ფრანგული ზეპირმეტყველების ჩვევების ჩამოყალიბება და გაღრმავება. პრაქტიკული მუშაობა ითვალისწინებს დიალოგის წარმართვისათვის საჭირო რეპლიკებს, მონოლოგიური მეტყველების ფორმებს. ინტენსიური კითხვა - ასპექტის ამოცანაა ფრანგულ ენაზე დაწერილი საშუალოზე რთული ტექსტის კითხვის მექანიზმის შექმნა. მხატვრული ტექსტის კითხვა - ძირითადად შემდეგ მიზანს ისახავს: წაკითხული ტექსტის თხრობის

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსი **ფრანგული ენა 2**

კურსის კოდი: HFB0440

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა 4** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: აკადემიური კითხვა, შემოქმედებითი წერა, პრაქტიკული გრამატიკა, მხატვრული ტექსტის კითხვა, კომუნიკაციური პერფორმაცია, მულტიმედია. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს ფრანგული ენის ნორმატიული გრამატიკიდან მორფოლოგიის და სინტაქსის საფუძვლებს, შეძლოს მიღებული ცოდნის გამოყენება ასევე მხატვრული ტექსტის ანალიზისას. საფრანგეთში გამოცემული აღიარებული საინფორმაციო ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა და დამუშავება, გარკვეული მოცულობის ორთოგრაფიული და შემოქმედებითი კარნახის შესრულება.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსი **ფრანგული ენა 3**

კურსის კოდი: HFB0450

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა 5** (5 კრედიტი).

კურსის სწავლებისას სტუდენტს უნდა გამოუმუშავდეს ტექსტის გაგების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები. კურსი ითვალისწინებს ბაკალავრიატის პირველ საფეხურზე დაწყებული ტექსტზე მუშაობის ელემენტების გაღრმავებასა და სრულყოფას. სტუდენტმა უნდა შეძლოს სხვადასხვა ჟანრის ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია. შესაბამისად ფრანგული ენის სწავლება მოიცავს აკადემიური კითხვის, კომუნიკაციური პერფორმაციის, შემოქმედებითი წერის ასპექტებს. დამატებით ცოდნის გაღრმავება ხდება არჩევითი ზეპირი და წერიტი მეტყველების ასპექტის საშუალებით. კურსი ასევე ითვალისწინებს ანოტირება-რეფერირების ასპექტის სწავლებას

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსი **ფრანგული ენა 4**

კურსის კოდი: HFB0460

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა 6** (5 კრედიტი).

კურსი ითვალისწინებს ბაკალავრიატის ზედა საფეხურისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ეყრდნობა წინა საფეხურებზე მიღებულ უნარ-ჩვევებს. კურსი აერთიანებს შემდეგ ასპექტებს: აკადემიური კითხვა, კომუნიკაციური პერფორმაცია, შემოქმედებითი წერა, აუდირება. ხდება ორიგინალური არადადაპტირებული მხატვრული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია, საფრანგეთში აღიარებული პოპულარული ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა და საშუალო სირთულის ვიდეო მასალის დამუშავება, ზეპირითი და წერიტი მეტყველების საფუძვლებით მიღებული ცოდნის გამყარება.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსი **ფრანგული ენა 5**

კურსის კოდი: HWB0090

კურსის დასახელება: **ფრანგული ენის ლექსიკოლოგია** (5 კრედიტი).

ლექსიკოლოგია როგორც სწავლება სიტყვისა და ენის ლექსიკური მარაგის შესახებ და მისი როგორც დისციპლინის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა წარმოადგენს აღნიშნული კურსის სწავლების მთავარ მიზანს. მუშაობა მიმდინარეობს შემდეგ საკითხებზე; სიტყვის მნიშვნელობა და ფრანგული ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა, ლექსიკის შესწავლა სემასიოლოგიურ, ონომასიოლოგიურ, სტილისტურ, პრაგმატულ ჭრილში და ა. შ. ლექსიკოლოგიის სწავლება გულისხმობს სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის, მისი ანალიზის ძირითადი ცნებების შესწავლას, აგრეთვე მნიშვნელობის ცვლის მექანიზმების მატაფორისა და მეტონიმის მოვლენათა ანალიზს.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსი **ფრანგული ენა 5**

კურსის კოდი: HWB0110

კურსის დასახელება: **შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ფრანგული ლიტერატურის ისტორია** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ფრანგული ლიტერატურა; ფრანგული საგმირო ეპოსი; ფრანგული კურტუაზიული ლიტერატურა; ფრანგული სარაინდო რომანი; ფრანგული კურტუაზიული ლირიკა; ფრანგული რენესანსის სპეციფიკა და ეტაპები; ფრანსუა ვიიონის შემოქმედება; ფრანსუა რაბლეს შემოქმედება; რონსარის შემოქმედება.

კურსის შესწავლის წინაპირობა: შესავალი კურსი რომანულ ფილოლოგიაში; საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია 1

კურსის კოდი: HWB0040

კურსის დასახელება: **XVII-XVIII საუკუნეების ფრანგული ლიტერატურის ისტორია** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: XVII საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობანი; ფრანგული კლასიციზმი; ფრანგული კლასიციზტური დრამატურგია; ფრანგული კლასიციზტური ტრაგედია; ფრანგული კლასიციზტური კომედია; ფრანგული პრეციოზული

ლიტერატურა; XVIII საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები; ფრანგული განმანათლებლობის სპეციფიკა და ძირითადი ეტაპები; ვოლტერის შემოქმედება; დიდროს შემოქმედება; რუსოს შემოქმედება.

კურსის შესწავლის წინაპირობა: შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ფრანგული ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HWB0030

კურსის დასახელება: **XIX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორია** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფრანგული რომანტიზმის სპეციფიკა და ეტაპები; ფრანგული რომანტიკული პოეზია; ფრანგული რომანტიკული პროზა; ვ. ჰიუგოს შემოქმედება; ჟ. სანდის შემოქმედება; შატობრიანის შემოქმედება XIX საუკუნის ფრანგული რეალისტური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები და ეტაპები; ბალზაკის შემოქმედება; სტენდალის შემოქმედება; მერიმეს შემოქმედება; ფლობერის შემოქმედება.

კურსის შესწავლის წინაპირობა: XVII-XVIII საუკუნეების ფრანგული ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HWB0070

კურსის დასახელება: **XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორია** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დეკადენტური მიმდინარეობანი XIX საუკუნის II ნახევრის ფრანგულ ლიტერატურაში („პარნასი“; სიმბოლიზმი; იმპრესიონიზმი); ნატურალიზმის ესთეტიკა; ე. ზოლას შემოქმედება; გი დე მოპასანი; ანატოლ ფრანსი; რ. როლანი; ოდერნიზმის ესთეტიკა; მარსელ პრუსტი; აპოლინერი; დიუ გარის შემოქმედება; ფრანსუა მორიაკი; ფურნიე, ბერნანოსი, XX საუკუნის II ნახევრის ფრანგული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები; ეგზისტენციალიზმის თეორია; ჟან-პოლ სარტრის შემოქმედება; სიმონა დე ბოვუარის შემოქმედება; ალბერ კამიუს შემოქმედება; „აბსურდის თეატრი“: სემუელ ბეკეტი; „ახალი რომანი“ (ნატალი საროტი, როზ გრიე).

კურსის შესწავლის წინაპირობა: XIX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორია